საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის

წლიური ანგარიში

2021

www.gasw.org

საქართველოს სოციალუ მუშაკთა ასოციაცია/GASW

მოგესალმებით, ძვირფასო ასოციაციის წევრებო

დასრულდა კიდევ ერთი საინტერესო წელი საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან ერთად. მოცემულ წლიურ ანგარიშში გვინდა მოკლედ შევაჯამოთ ის აქტივობები, რომლებიც 2021 წელს ასოციაციამ განახორციელა.

2021 წელი გამორჩეული წელი იყო მრავალი კუთხით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მაკრო დონეზე განხორციელებული პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ცვლილებების დანერგვას, რაც პირდაპირ აისახება სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარებაზე საქართველოში.



შორენა საძაგლიშვილი
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავჯდომარე

ქეთევან გიგინეიშვილი
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დირექტორი

ფარგლებში შემუშავდა სოციალურ მუშაკთა ეთიკის კოდექსი, სოციალური მუშაკისთვის სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტები, სოციალური მუშაობის უსაფრთხოების წესი, ასევე, შემუშავდა გადაუდებელ შემთხვევებზე 24-საათიანი რეაგირების მექანიზმი და დაიწყო მისი პოლოტირება სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში. მოცემული დოკუ-

ინტერვენციები ბავშვის უფლებათა კოდექსის ეფექტურად აღსრულების ხელშეწყობისთვის

პროექტი **„ინტერვენციები ბავშვის უფლებათა კოდექსის ეფექტურად აღსრულების ხელშეწყობისთვის“**, რომელიც განხორციელდა გაეროს **ბავშვთა ფონდთან (UNICEF)** თანამშრომლობითა და დაფინანსებით და **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)** მხარდაჭერით 2021 წელს. პროექტი მიზნად ისახავდა სოციალური მუშაობის კანონის აღსრულების ხელშეწყობას, კერძოდ, გარდამავალი დებულებების აღსრულების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მხარდაჭერას. ამ პროექტის მენტები დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებებით 2021 წლის ივნისის და აგვისტოს ბრძანებებით. ამავე პროექტის ფარგლებში, შემუშავდა შემთხვევის მართვის ახალი მოდელი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ბავშვთა დაცვის მიმართულებებზე. ახალ გაიდლაინში მოცემულია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში ბავშვზე ზრუნვის მიმართულებით შემთხვევის მართვის გავრცელებული სცენარები, მომსახურების მიწოდების პროცესში სხვადასხვა ფორმის გამოყენების სქემა, შემთხვევის მართვისთვის რელევანტური ფორმების ჩამონათვალი და მათი გამოყენების ინსტრუქცია.

შემუშავდა ახალი ფორმები, რომლითაც შესაძლებელი გახდა სოციალური მუშაკების მიერ ჩატარებული მრავალმხრივი საქმიანობის დოკუმენტირება, რაც აისახა მათ მიერ ჩატარებული მუშაობის ხარისხზე.

- მიმართვის ფორმა
- მიმართვაზე გადაუდებელი რეაგირების ოქმი
- სკრინინგ-შეფასების ფორმა
- ბავშვის და ოჯახის შეფასების ფორმა
- ბავშვის მშობლისგან განცალკევების ანგარიშის ფორმა (სასამართლოს შემთხვევებისთვის)
- პროგრესის ფორმა,
- თავსებადობის ფორმა (მინდობით აღმზრდელთან)
- შემთხვევის მმართველის ცვლილების ფორმა
- რეინტეგრაციის შესახებ დასკვნის ფორმა
- ინდივიდუალური მომსახურების გეგმა/გადასინჯვა

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში სოციალური მუშაობის ხარისხის გაძლიერების პროგრამა

კვლევითი მტკიცებულებების საფუძველზე შემუშავდა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს საქალაქო ცენტრების მოწყობის ახალი მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სოციალური მუშაობის მომსახურების ორი ძირითადი მიმართულებით დაყოფას:

1. ბავშვზე ზრუნვის და დაცვის განყოფილება;
2. მხარდაჭერის, სასამართლო/სამოქალაქო დავების და აღსრულების განყოფილება.

მიმართულებებად დაყოფა ემსახურება სოციალური მუშაობის მომსახურების ხარისხის გაზრდას; კერძოდ, ერთი მხრივ, შემთხვევებზე მყისიერი და დროული რეაგირების უზრუნველყოფას; მეორე მხრივ, სოციალური მუშაკების სამუშაო კმაყოფილების გაზრდას, სამუშაოდან სოციალური მუშაკების გადინების შემცირებას. ამჟამად, ახალი პროექტის "სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში სოციალური მუშაობის ხარისხის გაძლიერების" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება **გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF)** თანამშრომლობით. მიმდინარეობს ამ მოდელის პილოტირება

შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი, ზუგდიდი და თელავი. ზრუნვის სააგენტოს საქალაქო ცენტრების მოწყობაში ძირეული ცვლილებების პარალელურად ახალი პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს კრიტიკული ცვლილებები სოციალური მუშაობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. კერძოდ, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა შემთხვევის მართვის ახალი მოდელის პილოტირების მიმართულებით, პროფესიული ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების შემუშავება/დანერგვის მიმართულებით მულტიგუნდურ მუშაობაზე აქცენტებით და ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან, სუიციდურ ქცევასთან, სექსუალურ ძალადობის მსხვერპლებთან მიმართებაში სოციალური მუშაობის ინტერვენციების მოდულების შემუშავების მიმართულებით.

კონფერენცია
სოციალური მუშაობა – მეცნიერება სოციალური ცვლილებისათვის

კონფერენციის მიზანი იყო საქართველოში სოციალური მუშაობის, როგორც პრაქტიკული მეცნიერების, მხარდაჭერა და პოპულარიზაცია; სფეროში პირველი სამეცნიერო კონფერენციის პრეცენდენტის დაშვებით ახალგაზრდა პროფესიონალების დაინტერესება კვლევითა და სამეცნიერო საქმიანობით, რაც წარმოადგენს სოციალური მუშაკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს.

ასევე, საქართველოში დაგროვებული მეცნიერული მტკიცებულებების გაზიარება სოციალური მუშაობის სფეროში მომუშავე მეცნიერებისთვის, მკვლევარებისთვის, პრაქტიკოსებისთვის, ექსპერტებისთვის, სტუდენტებისთვის, მომიჯნავე სფეროების წარმომადგენლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

2021 წელი გამორჩეული იყო სამეცნიერო მუშაობითაც. კერძოდ, 2021 წლის 26-29 მაისში ჩატარდა ოთხდღიანი სამეცნიერო **კონფერენცია ონლაინ ფორმატში: "სოციალური მუშაობა - მეცნიერება სოციალური ცვლილებისათვის"**, რომელიც ეხმიანებოდა სოციალური მუშაობის საერთაშორისო დღის აღნიშვნას.

კონფერენცია ჩატარდა საქართველოს უნივერსიტეტების (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის) მხარდაჭერით. კონფერენციისთვის სპეციალურად მომზადდა **ვებ-გვერდი**, სადაც განთავსდა კონფერენციის მასალები. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ **ჩვენი თანამემამულე სახელგანთქმული სოციალური მუშაობის სფეროში მომუშავე მეცნიერები საქართველოდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან**. მათ მონაწილეობა მიიღეს მრგვალ მაგიდაში თემაზე **"სოციალური მუშაობის სამეცნიერო კვლევის მთავარი მახასიათებლები"**. დისკუსიის შედეგად ჩამოყალიბდება სოციალური მუშაობის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მახასიათებლები. მოცემული შედეგები ილიას სახელმწიფო უნივერ-სიტეტის მხარდაჭერით დაიბეჭდა და გამოიცა

სოციალური მუშაობა - მეცნიერება სოციალური ცვლილებებისთვის

კონფერენციის მიზანია საქართველოში სოციალური მუშაობის, როგორც პრაქტიკული მეცნიერების, მხარდაჭერა და პოპულარიზაცია; სფეროში პირველი სამეცნიერო კონფერენციის პრეცენდენტის დაშვებით, ახალგაზრდა პროფესიონალების დაინტერესება კვლევითა და სამეცნიერო საქმიანობით, რაც წარმოადგენს სოციალური მუშაკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს. ასევე, საქართველოში დაგროვებული მეცნიერული მტკიცებულებების გაზიარება სოციალური მუშაობის სფეროში მომუშავე მეცნიერებისთვის, მკვლევარებისთვის, მეცნიერებისთვის, პრაქტიკოსებისთვის, ექსპერტებისთვის, სტუდენტებისთვის, მომიჯნავე სფეროების წარმომადგენლებისთვის და სხვა

57 ასპექტი სოციალური მუშაობის კვლევის შესახებ: კონფერენციის მასალები. ეს მასალა გამოყენებული იქნება სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამების მიერ.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ("Building bridges - development of practice based higher education in social pedagogy as a tool for social reforms and inclusion of persons with disabilities in Armenia, Georgia, Kyrgyzstan and Norway" - CPEA-LT-2017/10043), რომლის მიზანი იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის პრაქტიკის მოდულის **"სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში"** დანერგვის შედეგების გაცნობა. კონფერენციის ამ ნაწილში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი და ნორვეგიელი კოლეგები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის მასწავლებლები, სტუდენტები, ბენეფიციარები და მათი მხარდამჭერები. მოხსენებები მიეძღვნა როგორც ახალი მოდულის დანერგვის საკითხებს, ასევე სოციალური მუშაობის ეთიკის და პრაქტიკის ურთიერთმიმართებას. მოცემული მასალები დაიბეჭდა მეთოდოლოგიური წიგნის - **"სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში: პრაქტიკული მოდულის განვითარება სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამისთვის"** - სახით.



სოციალური მუშაობის საერთაშორისო დღე

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ სოციალური მუშაობის საერთაშორისო დღეს - 16 მარტს, 18:00 თბილისის დროით, ჩაატარა საინტერესო ლექცია სახელწოდებით - **"პროფესიული სოციალური მუშაობის მახასიათებლები: ამერიკული სოციალური მუშაობის განვითარების ისტორია და საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარების გამოწვევები"**. მოხსენება გააკეთა სტიუარტ შარფმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის დოქტორმა, ლიცეზირებულმა სოციალურმა მუშაკმა. შეხვედრას 50-ზე მეტი ადამიანი დაესწრო და საინტერესო დისკუსიაც გაიმართა.

შეზღუდული შესაძლებლობის ბიოფსიქოსოციალური შეფასება და სტატუსის განსაზღვრის სისტემა

ამ ეტაპზე გრძელდება პროექტი **„შეზღუდული შესაძლებლობის ბიოფსიქოსოციალური შეფასება და სტატუსის განსაზღვრის სისტემა“** (**გაეროს ბავშვთა ფონდის** მხარდაჭერითა და დაფინანსებით) და საერთაშორისო პროექტი **„მხარდაჭერის სახლი - მომსახურებები დღეგრძელთა ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში“** (**ავსტრიის განვითარების სააგენტოს**, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ოპერაციული უწყების დაფინანსებით) ხანდაზმული ადამიანებისთვის საჭიროებებზე დაფუძნებული მომსახურებების განვითარების მიზნით. ამ პროექტების შესახებ ინფორმაციას დეტალურად **იხ. ბროშურაში**.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს გუნდს, ამ რთული გამოწვევების პერიოდში აქტიური შრომისთვის და პროფესიონალიზმისთვის.

შორენა საძაგლიშვილი
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავჯდომარე

ქეთევან გიგინეიშვილი
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დირექტორი

15 იანვარი, 2022 წელი

სოციალური მუშაობის ხარისხის გაძლიერება
სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის სააგენტოში

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ დაიწყო პროექტის სოციალური მუშაობის ხარისხის გაძლიერება სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის სააგენტოში (Strengthening the quality of social work at the Agency for State Care and Assistance For the (Statutory) Victims of Human trafficking (SCA)), რომლის მიზანიც გახლავთ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მხარდაჭერა სოციალური მუშაობის გაძლიერების მხრივ შემდეგი მიმართულებებით:

- **სოციალური მუშაობის შემთხვევის მართვის სისტემის პილოტირების შეფასება, შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებზე დაფუძნებით შემთხვევის მართვის სისტემის საბოლოო დახვეწა და მისი რეპლიკაცია რეგიონებზე.**
- **სოციალური მუშაობის სპეციალიზაციის პროცესის მონიტორინგი და პილოტის შედეგების შეფასება. შეფასებაზე დაფუძნებით სპეციალიზაციის მიმართულების მეტად გაუმჯობესება და მისი რეპლიკაცია რეგიონებზე.**
- **სოციალური მუშაკების გაძლიერება და მხარდაჭერა, რათა სააგენტომ უკეთ შეძლოს სუიციდის რისკების დროული იდენტიფიცირება და პრევენციაზე მუშაობა; ამ მხრივ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია შეიმუშავებს მუშაობის გზამკვლევს სოციალური მუშაკებისთვის და შესაბამის ინსტრუმენტებს, სპეციალისტები ასევე გაივლიან შესაბამის ტრენინგებს.**
- **სოციალური მუშაკების გაძლიერება და მხარდაჭერა, რათა სააგენტომ უკეთ შეძლოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის რისკების დროული იდენტიფიცირება და პრევენციაზე მუშაობა; ამ მხრივ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია შეიმუშავებს მუშაობის გზამკვლევს სოციალური მუშაკებისთვის და შესაბამის ინსტრუმენტებს, სპეციალისტები ასევე გაივლიან შესაბამის ტრენინგებს.**
- **პროექტის ფარგლებში მომზადდება კონცეფცია, რომელიც ნათელ სურათს შექმნის სოციალური მუშაობის მომსახურების განვითარების მხრივ, კერძოდ: სოციალური მუშაობის რა ტიპის ჩარევების განვითარებაა საჭირო (შესაბამისი მეთოდოლოგიების, სამუშაო ინსტრუმენტების განვითარების საჭიროების იდენტიფიცირება).**
- **ასოციაცია ასევე იმუშავებს სააგენტოში პროფესიული ზედამხედველობის კომპონენტის გაძლიერებაზე; ამ მიმართულებითაც შემუშავდება პროფესიული ზედამხედველობის კონცეფცია, სამუშაო ინსტრუმენტები.**
- **სოციალური მუშაკებისთვის შემუშავდება პროფესიული ზრდისა და პროფესიული ზრდის შეფასების შიდა კონცეფცია, რაც საშუალებას მისცემს სოციალურ მუშაკებს ნათლად დაინახონ მათი პროფესიული განვითარების პოტენციალი სააგენტოში.**
- **სოციალური მუშაკებისთვის სააგენტოში შემუშავდება შიდა მომზადების და პროფესიული განვითარების მიზნით სპეციალისტა მომზადების სისტემა. კერძოდ, კომპლექსური სატრენინგო პაკეტი, რომლის საშუალებითაც სააგენტოს შეეძლება თავად იზრუნოს კადრების განვითარებაზე, ახალი კადრების მომზადებაზე.**

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ორი წელია აქტიურად უჭერს მხარს სააგენტოს სოციალური მუშაობის განვითარების მხრივ, როგორც მომსახურებათა მიმწოდებელ და სოციალური მუშაკების ერთ-ერთ ყველაზე დიდ დამსაქმებელს. ამ მხრივ ასოციაცია ხელს უწყობს სოციალური მუშაობის გაუმჯობესებული მომსახურების დანერგვას სისტემაში და მის განვითარებას. ამ გზით, როგორც ბენეფიციართა უფლებების დაცვა ხდება, ასევე ხელი შეეწყობა უკეთესი პრაქტიკის განვითარებას და დანერგვას.

GASW

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
THE GEORGIAN ASSOCIATION OF SOCIAL WORKERS

პროექტი ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის და ევროკავშირის მხარდაჭერით. პროექტი დაიწყო 2021 წლის 4 ოქტომბერს და გასტანს 18 თვეს. გვსურს გაეროს ბავშვთა ფონდს დიდი მადლობა გადავუხადოთ, სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარების პროცესში ერთგული მხარდაჭერისთვის!

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

unicef
for every child

ბავშვთა დაცვის სისტემების და მომსახურებების გაძლიერება საქართველოში
STRENGTHENING SYSTEMS AND SERVICES FOR CHILD PROTECTION IN GEORGIA

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია IFSW-ს მიერ გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე

ახალბედა სოციალური მუშაკების მხარდაჭერა, საერთაშორისო პერსპექტივები

სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციამ IFSW 2021 წლის 8-9 ოქტომბერს გამართა დელეგატების ყოველწლიური შეხვედრა კონფერენციის **„IFSW EUROPEAN CONFERENCE ON SOCIAL WORK 2021“** ფარგლებში. კონფერენცია გაიმართა 11-13 ოქტომბერს, სადაც მონაწილეობას იღებდნენ წევრი ასოციაციები სხვადასხვა ქვეყნებიდან, სოციალური მუშაკები, სტუდენტები და სფეროთი დაინტერესებული პირები. სიხარულით გვინდა გაცნობოთ, რომ 9 ოქტომბერს დელეგატების ყოველწლიურ შეხვედრაზე, და 13 ოქტომბერს გამართულ ვორკშოპში, მონაწილეობას იღებდა **საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თანამშრომელი, ქეთევან ლეკიშვილი**, რომელიც ერთი წლის მანძილზე ჩართული იყო სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის (IFSW Europe) მიერ მხარდაჭერილ ახალგაზრდულ პროექტში - **„A social Europe is possible! The NEW generation of social workers are the spearhead of change“.** პროექტის ფარგლებში მომ-

ზადდა პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს ახალბედა სოციალურ მუშაკებს, რომლებიც ახლა იწყებენ საქმიანობას პროფესიაში. უფრო კონკრეტულად კი, იმ სოციალურ მუშაკებს, რომლებიც იმყოფებიან სწავლების ბოლო საფეხურზე, ან მათი სამუშაო გამოცდილება სფეროში არ აღემატება 5 წელს.



პროექტის განხორციელების პროცესში ჩართული იყო 10 ქვეყნის ახალგაზრდა სოციალური მუშაკი, რომლებიც ბოლო 12 თვის განმავლობაში რეგულარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. პროექტის ჯგუფმა გამოავლინა ის ძირითადი საკითხები, სირთულეები, რაც დაკავშირებულია გარდამავალ პერიოდთან, რომელსაც სტუდენტები სწავლის დასრულების ან სწავლების ბოლო საფეხურზე ყოფნისას გადიან სოციალურ მუშაკად დასაქმებამდე. აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება მოხდა კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით - ონლაინ გამოკითხვის და ინტერვიუების საშუალებით ახალბედა სოციალურ მუშაკებთან. საერთო ჯამში, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 850-ზე მეტმა ახალბედა სოციალურმა მუშაკმა ევროპის 30 ქვეყნიდან. საქართველოში გამოკითხვის ფორმები გავრცელდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრებში და ასევე გასაუბრებებში მონაწილეობა მიიღეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ბოლო საფეხურის სტუდენტებმა და სხვადასხვა ორგანიზაციაში დასაქმებულმა სოციალურმა მუშაკებმა, რომელთა სამუშაო გამოცდილება არ აღემატებოდა 5 წელს.

პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგები გაანალიზდა და გამოიკვეთა მნიშვნელოვანი სირთულეები, რაც სწავლებიდან დასაქმების ეტაპზე გადასვლას ახლავს თან. ასევე პროექტმა ხაზი გაუსვა და გამოკვეთა ის დამხმარე, დადებითი საკითხები, რაც ახალბედა სოციალურ მუშაკებს ეხმარება გარდამავალ პეროდში დასაქმებაში ვეროპის მასშტაბით.



9 ოქტომბერს აღნიშნული პროექტის შედეგები ქეთევან ლეკიშვილმა წარადგინა დელეგატების ყოველწლიურ შეხვედრაზე, შეხვედრისას მან ასევე ისაუბრა პროფესიული ასოციაციის როლზე, მის საქმიანობაზე, სფეროში მიმდინარეე სიახლეებზე და ა.შ. დამსწრე წევრებმა გამოთქვეს სურვილი აღნიშნული დოკუმენტის გაზიარების და ერთიანი პოლიტიკის შექმნის და ამასთან, სახელმძღვანელოს შემუშავების თაობაზე, რომელიც დაეხმარება ახალგზარდა/ახალბედა სოციალურ მუშაკებს სწავლებიდან დასაქმების ეტაპზე გადასვლაში.

13 ოქტომბერს კონფერენციის ფარგლებში ქეთევან ლეკიშვილმა უხელმძღვანელა ვორქშოპს „IFSW ევროპის ახალბედა სოციალურ მუშაკთა პროექტი“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის ასოციაციის ხელმძღვანელები, უნივერსიტეტის წარმომადგენლები, სოციალურმა მუშაკები და იმსჯელეს, თუ როგორ უნდა მოხდეს ახალბედა სოციალური მუშაკების მხარდაჭერა და გაძლიერება განათლების, ტრენინგების მიმართულებით, ასევე რა გარე მხარდაჭერა ესაჭიროებათ და ვინ შეიძლება იყო მხარდამჭერი, გარდა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა. ასოციაცია აპირებს აღნიშნული მიმართულებით განახორციელოს აქტივობები და ხელი შეუწყოს ახალბედა სოციალურ მუშაკებს უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

პროექტის ფარგლებში 2022 წელს დაგეგმილია რიგი აქტივობები, რომლებშიც ჩვენი გუნდის წევრი აქტიურად იქნება ჩართული და მონაწილეობას მიიღებს კონფერენციებში, ვორქშოფებში, ვებინარებში და სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაში.

მადლობას ვუხდით IFSW-ს პროექტის ინიცირებისთვის და ახალი ინიციატივების მხარდაჭერისთვის.

ღონისძიებები საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრებისთვის



საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციისთვის მნიშვნელოვანია წევრებთან აქტიური კომუნიკაცია და მათთვის სფეროში მიმდინარე სიახლეების და მოვლენების გაზიარება. აღნიშნულის ფარგლებში GASW მთელი წლის განმავლობაში აქტიურად უზიარებდა და უზიარებს თავის წევრებს მიმდინარე სიახლეებს, ვაკანსიებს, სტაჟირების პროგრამებს და ა.შ. ასევე მთელი წლის განმავლობაში, წევრებს ჰქონდათ ინფორმაცია საერთაშორისო კონფერენციების შესახებ, რომლებში მონაწილეობაც და დასწრებაც მათთვის ხელმისაწვდომი იყო. ამასთან, ასოციაციის წევრებს ჰქონდათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ ახალი ეთიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში გამართულ განხილვებში. ეთიკის კოდექსი შემუშავდა და განახლდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. განხილვაში მონაწილეობა შეეძლო ყველა წევრს, ვინც გამოთქვამდა სურვილს და გაივლიდა შესაბამის რეგისტრაციას. 2021 წლის ოქტომბრის თვეში კი, მთავრობის მიერ დამტკიცდა განახლებული სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსი, რომელიც ხელმისაწვდომია ასოციაციის თითოეული წევრისთვის. აქვე, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ეთიკის კოდექსი არის საერთო ყველა სფეროში დასაქმებული სოციალური მუშაკებისთვის. ასევე დამტკიცდა სოციალური მუშაობის პრაქტიკის და უსაფრთხოების სტანდარტები, რომელიც სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავებული იქნება უწყებების მიხედვით.

რებისთვის შეიმუშავა **თვითზრუნვის პლატფორმა,** რომელიც სოციალური მუშაკების პროფესიული გადაწვისგან დასაცავად და თვითზრუნვის წასახალისებლად შეიქმნა. ინიციატივის ფარგლებში შეხვედრების მიზანი იყო წევრების შეკრება და მათთვის სასაუბრო სივრცის დათმობა, ერთმანეთის წუხილებისა თუ წარმატებების, მიმდინარე სიახლეებისა და ფიქრების გაცნობა-გაზიარება, კრიტიკული პრაქტიკის, სამუშაო მეთოდებისა თუ ტექნიკების განხილვა, ასევე, გადაწვის პრევენცია, განტვირთვა და დროის სასიამოვნოდ გატარება მონატრებულ კოლეგებთან ერთად.

გარდა ამისა, როგორც მოგეხსენებათ, ასოციაცია პერიოდულად ატარებს გამოკითხვას წევრებში, თუ რა თემაზე ისურვებდნენ ტრენინგებს და მიიღებდნენ მონაწილეობას. აღნიშნული გამოკითხვის შედეგად, წევრების სურვილი იყო **ფსიქიკური ჯანმრთელობის** შესახებ გამართულიყო ტრენინგები. მაღალი მოთხოვნის გამო, მოცემულ თემაზე ორ ეტაპად ჩატარდა შეხვედრები. ტრენინგის მიზანი იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ბაზისური ინფორმაციის მიწოდება იმ სოციალური მუშაკებისთვის, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან და, შესაძლოა შეხება ჰქონდეთ ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების მქონე პირებთან ან მათი ოჯახის წევრებთან. ტრენინგის ფარგლებში თითო ჯგუფთან ჩატარდა 3 შეხვედრა (თითო 3 საათიანი). ტრენინგს უძღვებოდა ფსიქიატრი თინათინ მეზვრიშვილი. ტრენინგების დასრულების შემდგომ კი მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სატრენინგო მასალები და სახელმძღვანელო "ფსიქიკური ჯანმრთელობის ძირითადი ასპექტები სოციალური მუშაკებისთვის", რომელიც თინათინ მეზვრიშვილმა მოამზადა.

ამასთან, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია პანდემიის დაწყებიდან აქტიურადაა ჩართული **Covid-19-ის** წინააღმდეგ ბრძოლაში. ასოციაცია პანდემიის პირველივე ეტაპზე აწარმოებდა საინფორმაციო კამპანიას, რომლის ფარგლებშიც პერიოდულად ამზადებდა სხვადასხვა საინფორმაციო ბროშურებს Covid-19-ისგან თავის დაცვის, გამოწვევების, არსებული რესურსების შესახებ,

ვაქცინაციის მნიშვნელობასაზე, ეფექტურობაზე და სხვა. გარდა საინფორმაციო მასალის მომზადებისა და გავრცელების, ასოციაციამ აგვისტოში, ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით, გამართა წევრებისთვის საინფორმაციო შეხვედრა Covid-19 საწინააღმდეგო ვაქცინასთან დაკავშირებით, რომელსაც უძღვებოდა ექიმი, პროფესორი/ალერგოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი. მოგეხსენებათ, სოციალური მუშაკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან თემებზე ადვოკატობა და სწორი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოების აქტიურ საკითხებზე. სწორედ ამას ისახავდა მიზნად აღნიშნული შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში მოხდა ვაქცინაციის საჭიროების შესახებ არსებული ინფორმაციის გაცნობა, მნიშვნელოვანი საკითხების მიმოხილვა და მონაწილეებს ჰქონდათ კითხვების დასმის და პასუხების ამომწურავად მიღების შესაძლებლობა.

უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ 2021 წელს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დამფუძნებლისა და გამგეობის წევრის ნათია ფარცხალაძის თავმჯდომარეობით ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა **სოციალური მუშაობის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი,** რომლის განხილვაშიც მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდათ ასოციაციის წევრებს და არა ერთი მათგანი აქტიურად იყო ჩართული.

2022 წლიდან ასოციაციამ დაიწყო **წევრების ბაზის განახლება,** რათა წევრებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს ასოციაციის რესურსები და აქტივობები. ასოციაციამ განაახლა თავისი ბიბლიოთეკა, რომელიც წევრებისთვის ხელმისაწვდომი გახდება, როგორც ელექტრონული, ისე ნაბეჭდი სახით. 2022 წლისთვის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია თავისი წევრებისთვის გეგმავს არაერთ სიახლეს და აქტივობას. კერძოდ, ასოციაცია უწყვეტი განათლების მიმართულებით გეგმავს სხვადასხვა ტრენინგს, ვორქშოპს, კონფერენციას, ასევე, საინტერესო შეხვედრებს, გასვლით ღონისძიებებს და ა.შ.

ახალგაზრდული თემის გაძლიერება
სმენის სირთულეების მქონე პირთა საჭიროებების ადვოკატებისათვის

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ, **საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის** და **ფონდის „აურეს“ მხარდაჭერით**, 2021 წლის 13-14 თებერვალს სმენის სირთულეების მქონე ახალგაზრდებთან ჩაატარა სმენის სირთულეების მქონე პირთა საჭიროებების ადვოკატობის ტრენინგი.

ტრენიგის მიზანს წარმოადგენდა სმენის სირთულეების მქონე ახალგაზრდების ცოდნის გაზრდა და ბაზისური უნარე-

ბის განვითარების ხელშეწყობა სოციალური ადვოკატობის საკითხებში, რაც მათ სამომავლოდ დაეხმარება გამოწვევებთან გამკლავებაში. ასევე, ტრენინგის მიზანი იყო მონაწილეებისთვის გაეცნო ინფორმაცია ადვოკატობის პროცესში თემის წევრების ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ და პრაქტიკული სავარჯიშოების გამოყენებით დახარებოდა იმ ბაზისური უნარ-ჩვევების განვითარებაში, რომლებიც მნიშვნელოვანია თვითადვოკატობის პროცესში.

ჩატარებული ტრენინგი მოიცავდა ადვოკატობის მნიშვნელობას უფლებების დაცვის მიმართულებით, ასევე, ადვოკატობის პროცესებს, ფაქტორებს და მის განხორციელების ეტაპებს, ადვოკატობის პროცესში თემის ჩართულობის საკითხებს და მნიშვნელობას სმენის სირთულეების მქონე პირების უფლებების დაცვის მიმართულებით; განხილულ იქნა არსებული კონვენციისა და კანონმდებლობის მნიშვნელობა ადვოკატობის პროცესში. აქცენტი იყო დასმული სმენის სირთულეების მქონე ახალგაზრდების საჭიროებებსა და გამოწვევებზე ჩვეულ გარემოსა და მათ შორის COVID-19-ის პირობებში; ტრენინგი დასრულდა არსებულ გამოწვევებზე ადვოკატობის გეგმის მონახაზის გაწერით, სადაც მონაწილეებმა გამოკვეთეს რამდენიმე მათთვის აქტუალური თემა, რომელთა ადვოკატობასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ.

ტრენინგი დაფუძნებული იყო ზრდასრულთა სწავლების მეთოდებზე, კერძოდ, მინი ლექციებზე (პრეზენტაციებზე), ჯგუფურ სამუშაოზე, გონებრივ იერიშზე, შემთხვევათა განხილვასა და დისკუსიებზე.

ტრენინგს სმენის სირთულეების მქონე ახალგაზრდებთან უძღვებოდნენ ირმა ბებერაშვილი და თეონა გოცირიძე. ტრენიგის მიმდინარეობის დროს კი უზრუნველყოფილი იყო სურდო თარგმანი და სუბტიტრები, რათა ინფორმაცია თანაბრად ყოფილიყო ხელმისაწვდომი და აღქმადი ტრენინგის ყველა მონაწილისთვის.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის სოციალური მოდელის პილოტირება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

2021 წელსა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ დაასრულა პროექტი **„შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის სოციალური მოდელის პილოტირება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში“**, რომელიც 2019 წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობდა.

სამცხე ჯავახეთში პილოტირება სრულად დაემთხვა პანდემიის პერიოდს, ამიტომ რეგიონში შეფასება მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში, სახელმწიფოს რეკომენდაციების გათვალისწინებით. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ბიოფსიქოსოციალური მოდელის პილოტირების ფარგლებში შეფასდა 423 პირი, შედეგების თვალსაზრისით კი უნდა აღინიშნოს შემდეგი:

მულტიდისციპლინური გუნდის ფორმატში განხილულ იქნა 288 შემთხვევა.

ჩატარდა 57 პროფესიული ზედამხედველობის შეხვედრა, რამაც თავის მხრივ დახვეწა პროფესიული ზედამხედველობის კომპონენტი. პროფესიულ ზედამხედველობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ სპეციალისტებთან, რომლებიც ზრუნვის სფეროში მუშაობენ. შესაბამისად, იქედან გამომდინარე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა/ ბავშვთა შეფასება საფუძვლიანად განხორციელებულიყო, ასევე გამართული ყოფილიყო მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მსჯელობა სტატუსთან დაკავშირებით, დაცული ყოფილიყო ეთიკის ნორმები და სტანდარტები და პილოტის ფარგლებში დაქირავებული სპეციალისტების პროფრესიული გადაწვის თავიდან არიდება მომხდარიყო, მუდმივად მიმდინარეობდა ინდივიდუალური და ჯგუფური სუპერვიზიის შეხვედრები.

მომსახურებებში გადამისამართდა 173 პირი, რაც გულისმხმობს იმას, რომ პილოტის ფარგლებში დაქირავებული სპეციალისტები აწვდიდნენ სტატუსის მაძიებელ პირებს ინფორმაციას სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული რესურსების შესახებ და ამისამართებდნენ მათ შესაბამის მომსახურებებში საჭიროებიდან გამომდინარე.

ჩატარდა 35 საინფორმაციო შეხვედრა თემთან და ადგილობრივ აქტორებთან მთელი სამცხე-ჯავახეთის მასშატაბით. საინფორმაციო შეხვედრები ტარდებოდა თემის წევრებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახის წევრებთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, სკოლებთან და ბაღებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან და ა.შ.

დაიხვეწა შეფასების ინსტრუმენტები თემის, ექსპერტების, სპეციალისტების ჩართულობით. სამცხე-ჯავახეთში მუდმივად ხდებოდა კომუნიკაცია თემის წევრებთან, პილოტში ჩართულ პირებთან და მათი ოჯახის წევრებთან, დაქირავებულ სპეციალისტებთან, რათა თითოეული მათგანის უკუკავშირის შესაბამისად კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებულიყო შეფასების ინსტრუმენტები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გამომდინარე სამცხე-ჯავახეთის სპეციფიკიდან, შეფასების ინსტრუმენტები ითარგმნა რუსულ და სომხურ ენებზე.

კიდევ უფრო დაიხვეწა სამუშაო პროცესი. სამცხე-ჯავახეთში პილოტის მიმდინარეობისას მსოფლიოში დაიწყო Covid-19-ის პანდემია, რამაც გამოიწვია ის, რომ საჭირო გახდა ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტის დატესტვა და დანერგვა, როგორიცაა ონლაინ შეფასება. ამის შესაბამისად, შეიქმნა ონლაინ შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები და გამოიცადა ონლაინ შეფასება პრაქტიკაში.

ჰუმანიტარული მხარდაჭერა გაეწიათ პილოტში ჩართულ პირებს Covid-19-ის პერიოდში. გამომდინარე იქედან, რომ Covid-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო მეტად გაზარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების/ბავშვების და მათი ოჯახების ხარჯები და დაამძიმა მათი მდგომარეობა, პილოტის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს/ბავშვებს და მათ ოჯახებს პერიოდულად მიეწოდებოდათ საჭირო მედიკამენტები, საკვები პროდუქტები, სამომხმარებლო ნივთები და ა.შ. მათი საჭიროებიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, პილოტის ფარგლებში დაიბეჭდა სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან".

აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტის ფარგლებში შემუშავდა სახელმძღვანელო „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის სოციალური მოდელი", რომელიც მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო იქნება ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვის მიმართულებით.

პროექტი **„ექსპერტიზ ფრანსის"** ტექნიკური მხარდაჭერით და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით ხორციელდებოდა.

შეზღუდული შესაძლებლობის ბიოფსიქოსოციალური შეფასება და სტატუსის განსაზღვრის სისტემა

პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის ბიოფსიქოსოციალური შეფასება და სტატუსის განსაზღვრის სისტემა" 2021 წლიდან მიმდინარეობს. პროექტს ახორციელებს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.



ბიოფსიქოსოციალური მოდელის პილოტირების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" წევრებთან.

ბიოფსიქოსოციალური მოდელის პროცესის აღწერა

პროექტის მიზნები:

- თბილისის მასშტაბით შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის განსაზღვრის სისტემის ბიოფსიქოსოციალური მოდელის მიზნობრივი პილოტირება
- შეფასებისა და სტატუსის განსაზღვრის სისტემის ბიოფსიქოსოციალური მოდელის ზედამხედველობისა და მონიტორინგის ფუნქციების ინსტიტუციონალიზაცია
- ახალი სპეციალისტების გადამზადების მდგრადი მექანიზმების დანერგვა
- ბიოფსიქოსოციალური მოდელის საფუძველზე მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემების ჩამოყალიბება
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის მონაწილეობა და ჩართვა ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასა და გავრცელებაში.

ბიოფსიქოსოციალური მოდელის პილოტის ფარგლებში საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ გადამზადებული სპეციალისტები შეფასებას ახორციელებენ კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებთან:

- სმენის სირთულეების მქონე პირებთან
- მხედველობის სირთულეების მქონე პირებთან
- ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირებთან
- ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირებთან
- სხვადასხვა დაავადების მქონე ბავშვებთან და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ივლისიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით პილოტში მონაწილეობა მიიღო 317 პირმა.

გარდა კლინიკებში ბიოფსიქოსოციალური მოდელის პილოტირებისა, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მხრიდან მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ბიოფსიქოსოციალური მოდელის ინსტიტუციონალიზაციისთვის, რაც თავის მხრივ გულისხმობს:

საკანონმდებლო ანალიზის და საკანონმდებლო ჩარჩოს მომზადებას

სპეციალისტთა მომზადების სასერტიფიკატო პროგრამის შემუშავებას და დანერგვის ხელშეწყობას

მონიტორინგისა და პროფესიული ზედამხედველობის კომპონენტის ჩარჩოს მომზადებას და დანერგვის ხელშეწყობას

თემთან აქტიურ თანამშრომლობას და თითოეულ კომპონენტში მათ ჩართულობას და მათი მოსაზრებების გათვალისწინებას

ამ დროისთვის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ:

- ☑ დაიხვეწა და შეიცვალა შეფასების ისნტრუმენტები და გაიდლაინები
- ☑ შეიქმნა ბავშვის მონაწილეობის კონცეფცია და გაიდლაინი
- ☑ გაანალიზდა სტატუსის მინიჭების არსებული საკანონმდებლო დოკუმენტები და შეიქმნა საკანონმდებლო ჩარჩო ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე გადასვლისთვის
- ☑ ჩატარდა 40-მდე საინფორმაციო შეხვედრა თემთან
- ☑ პროექტის ფარგლებში დაქირავებული სპეციალისტებთან მუდმივად მიმდინარეობს პროფესიული უნარების გაძლიერების მხარდაჭერა.

გარდა ამისა, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე, როგორებიცაა:

- სპეციალისტთა მომზადების სასერტიფიკატო პროგრამა და უმაღლესი განათლების შესახებ კანონის ანალიზი
- მონიტორინგისა და პროფესიული ზედამხედველობის პროცესების საკანონმდებლო ანალიზი და ჩარჩო.



საინფორმაციო შეხვედრა თემის წევრებთან ბიოფსიქოსოციალური მოდელის პილოტირების შესახებ

პროექტის დასასრულს იგეგმება მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, ანალიზი, პროექტის შედეგების შეფასება და სამინისტროსთვის რეკომენდაციების შემუშავება.

ვებინარები
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის
წევრებისთვის

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია 2021 წლის განმავლობაში ტრადიციულად უზრუნველყოფდა ვებინარების ჩატარებას ორგანიზაციის წევრებისთვის პროფესიისთვის საჭირო და მნიშნელოვან თემებზე.



საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები/ვებინარები შემდეგ თემებზე:

2021 წლის 29 აპრილს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ჩაატარა **ვებინარი - "არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის"** საქმიანობის შესახებ, რომელსაც უძღვებოდნენ ცენტრის ხელმძღვანელი ნაზი ფარსადანიშვილი და სოციალური მუშაკი - ნინო გუნცაძე. შეხვედრის ფარგლებში ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ ვებინარზე დამსწრე წევრებს.

გარდა ამისა, 2021 წლის 14 ივლისს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ წევრებისთვის გამართა **ვებინარი - რეინტეგრაციის პროგრამა და ამ პროგრამაში ჩართული ბავშვების ოჯახების წინაშე მდგარი გამოწვევები**, სადაც მოხსენებით წარდგა ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის სოციალური მიმართულების მენეჯერი და კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის თავმჯდომარე სალომე ჭიჭინაძე. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის მიერ ჩატარებული კვლევის - „რეინტეგრაციაში ჩართული ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებები“ ანგარიში. ასევე განხილულ იქნა რეინტეგრაციის პროგრამის მიზანი, ამოცანები, რეგულაციები და გამოწვევები.



ამასთან, 29 აგვისტოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ გაეროს ბავშთა ფონდის მხარდაჭერით წევრებისთვის ჩაატარა **ვებინარი Covid-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან** დაკავშირებით. შეხვედრას უძღვებოდა ექიმი, პროფესორი/ალერგოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი, რომელმაც ისაუბრა ვაქცინაციის მნიშვნელოვნებასა და არსებულ გამოწვევებზე.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია 2022 წლის განმავლობაშიც გეგმავს პროფესიისთვის მნიშნელოვან თემებსა და საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვას წევრებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის.

კონფერენცია

სოციალური მუშაობა - მეცნიერება სოციალური ცვლილებისათვის

კონფერენციის მიზანი იყო საქართველოში სოციალური მუშაობის, როგორც პრაქტიკული მეცნიერების, მხარდაჭერა და პოპულარიზაცია; **სფეროში პირველი სამეცნიერო კონფერენციის პრეცენდენტის დაშვებით**, ახალგაზრდა პროფესიონალების დაინტერესება კვლევითა და სამეცნიერო საქმიანობით, რაც წარმოადგენს სოციალური მუშაკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს. ასევე, საქართველოში დაგროვებული მეცნიერული მტკიცებულებების გაზიარება სოციალური მუშაობის სფეროში მომუშავე მეცნიერებისთვის, მკვლევარებისთვის, პრაქტიკოსებისთვის, ექსპერტებისთვის, სტუდენტებისთვის, მომიჯნავე სფეროების წარმომადგენლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. კონფერენცია ჩატარდა საქართველოს უნივერსიტეტების (**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ივანე ჯავახიშვილის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის**) მხარდაჭერით.

2021 წელი საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მუშაობის მხრივ გამოჩჩეული იყო სამეცნიერო მუშაობით. კერძოდ, 2021 წლის 26-29 მაისში ჩატარდა ოთხდღიანი სამეცნიერო კონფერენცია ონლაინ ფორმატში: "სოციალური მუშაობა - მეცნიერება სოციალური ცვლილებისათვის", რომელიც ეხმიანებოდა სოციალური მუშაობის საერთაშორისო დღის აღნიშვნას.

კონფერენციისთვის სპეციალურად მომზადდა **ვებ-გვერდი**, სადაც განთავსდა **კონფერენციის მასალები**. კონფერენციაში **მონაწილეობას იღებდნენ** ჩვენი თანამემამულე სახელგანთქმული სოციალური მუშაობის სფეროში მომუშავე მეცნიერები საქართველოდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მათ მონაწილეობა მიიღეს მრგვალ მაგიდაში თემაზე "სოციალური მუშაობის სამეცნიერო კვლევის მთავარი მახასიათებლები". დისკუსიის შედეგად ჩამოყალიბდება სოციალური მუშაობის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მახასიათებლები. მოცემული შედეგები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით დაიბეჭდა და გამოიცა (**57 ასპექტი სოციალური მუშაობის კვლევის შესახებ**). ეს მასალა გამოყენებული იქნება სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამების მიერ.



კონფერენციის მეორე დღე დათმობილი ჰქონდა ვორქშოპს სახელწოდებით **"შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებების განსაზღვრა და ოჯახის გაძლიერებაზე მიმართული ინტერვენციების განხორციელება".** ვორქშოპის შედეგად მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებების განსაზღვრის მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების შესახებ
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ოჯახების გაძლიერებაზე მიმართული კომპლექსური ინტერვენციების დაგეგმვაზე - მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების/მზრუნველებისა და და-ძმების გაძლიერებაზე მიმართული ინტერვენციების დაგეგმვაზე - მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე.

რაც შეეხება სოციალური მუშაობის სხვადასხვა მიმართულებით სამი ტიპის კვლევას, წარმოდგენილი იყო 20-ზე მეტი აბსტარქტი, საიდანაც შეირჩა 14 ნაშრომი. მონაწილეებმა წარმოადგინეს თავიანთ კვლევის შესახებ ინფორმაცია და მიგნებები. აღნიშნული ნაშრომები დაყოფილი იყო სამ კატეგორიად, რომელშიც ერთიანდებოდა 4-5 თემა. ეს კატეგორიები იყო:

1. ფსიქიკური ჯანმრთელობა და მავნე ნივთიერებების ავად მოხმარება;
2. ბავშვთა კეთილდღეობა და სხვადასხვა ჯგუფების უფლებების დაცვის მიმართულება სოციალურ მუშაობაში;
3. ჯანდაცვის სფეროში სოციალური მუშაობა.

გარდა ამისა, კონფერენცის ფარგლებში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა (“Building bridges - development of practice based higher education in social pedagogy as a tool for social reforms and inclusion of persons with disabilities in Armenia, Georgia, Kyrgyzstan and Norway” - CPEA-LT-2017/10043), რომლის მიზანი იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის პრაქტიკის მოდულის **“სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში”** დანერგვის შედეგების გაცნობა. კონფერენციის ამ ნაწილში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი და ნორვეგიელი კოლეგები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის მასწავლებლები, სტუდენტები, ბენეფიციარები და მათი მხარდამჭერები. მოხსენებები მიეძღვნა როგორც ახალი მოდულის დანერგვის საკითხებს, ასევე სოციალური მუშაობის ეთიკის და პრაქტიკის ურთიერთმიმართებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია რომ სტუდენტებმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სკოლის, დღის



ცენტრების, 24-საათიანი ზრუნვის თავშესაფრის ბენეფიციარებთან ერთად წარმოადგინეს ერთობლივად განხორციელებული პროექტები, რაც უპრეცენდენტი იყო. თემის წევრები, მთელი სესიის განმავლობაში ესწრებოდნენ შეხვედრას და ჰქონდათ შესაძლებლობა ესაუბრათ და გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება სტუდენტებთან მუშაობის მხრივ. მოცემული მასალები დაიბეჭდა მეთოდოლოგიური წიგნის "სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში: პრაქტიკული მოდულის განვითარება სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამისთვის", სახით.

ფსიქიკური ჯანმრთელობის კვლევა სკოლის მოწავლეებში

Mental health epidemiological survey on children in Georgia – including lockdown consequences

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ევროპული ასოციაციის და „ფრანს ექსპერტაიზის/ France Expertise" ერთად ახორციელებს კვლევას - **„ფსიქიკური ჯანმრთელობის კვლევა სკოლის მოწავლეებში"**. პროექტი ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

პროექტი მიზნად ისახავს ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ კვლევის ჩატარებას სკოლის მოსწავლეებზე და ხორციელდება საქართველოს მასშტაბით, შერჩეულ სკოლებში, 1-დან მე-6 კლასის - 6 წლიდან 11 წლის სკოლის მოსწავლეებზე. კვლევაში ჩართული პირები არიან სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები (ერთ-ერთი მშობელი/მეურვე/მზურნველი) და ძირითადი მასწავლებლები (კლასის დამრიგებელი).

კვლევის ადგილობრივი განმახორციელებელი ორგანიზაცია არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW), რომელიც არ მონაწილეობს მონაცემთა დამუშავების პროცესში. ასოციაცია ახორციელებს მხოლოდ კვლევის მონაცემების შეგროვებას კვლევის შესაბამისი სტანდარტების მიხედვით, რაც მოიაზრებს მონაწილეებისა და მონაცემების უმაღლეს დონეზე დაცვის პრინციპებს.

1-დან მე-6 კლასის ჩათვლით მოსწავლეებში ინტერაქტიული ვიდეო პროგრამის ვირტუალური კითხვარის გამოყენებით ხდება ბავშვის ქცევის ანალიზი სკოლასა და სახლში. ასევე, კვლევა მოიაზრებს სკოლის მოსწავლის უნარების შემოწმებას, თუ რამდენად შეუძლია ბავშვს

პოტენციური ინტერნალური და ექსტენრალური პრობლემების იდენტიფიცირება. კვლევის ძირითად ამოცანას კი წარმოადგენს ბავშვთა ფსიქიკური გამოწვევების დადგენა და ევროპული სტანდარტების მიხედვით ინდიკატორების შემუშავება, რათა მომავალში გამოყენებულ იქნას ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის მონიტორინგის პროცესში. კვლევის შედეგები დაგვეხმარება მომავალში შეიქმნას ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის უკეთესი პრევენციული პროგრამები.

სოციალური მუშაობის საერთაშორისო დღე

სოციალირი მუშაობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 2021 წლის 16 მარტს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ გამართა შეხვედრა სახელწოდებით "პროფესიული სოციალური მუშაობის მახასიათებლები: ამერიკული სოციალური მუშაობის განვითარების ისტორია და საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარების გამოწვევები". შეხვედრას უძღვებოდა ამერიკელი კოლეგა სტუარტ შარფი. სტუარტ შარფი არის კოლუმბიის უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის დოქტორი, ლიცენზირებული სოციალური მუშაკი. იგი გახლავთ სოციალური მუშაობის მომსახურების მონიტორინგის და შეფასების მიმართულებით ექსპერტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ექსპერტი. სტიუარტ შარფს აქვს დიდი წვლილი შეტანილი პროფესიის განვითარებაში და არის პროფესიული ნაშრომების ავტორი, რომელსაც სოციალური მუშაობის 40 წლიანი გამოცდილება და სწავლების 10 წელზე მეტი გამოცდილება აქვს.

შეხვედრისას ამერიკაში სოციალური მუშაობის განვითარებისა და გამოწვევებთან გამკლავების მიმოხილვა მოხდა, დაწყებული ჯეინ ადამსიდან უახლეს ისტორიამდე. სტუარტმა მონაწილეებს გაუზიარა თავისი პროფესიული გამოცდილება, ისაუბრა სხვადსხვა სფეროში სოციალური მუშაკების როლის შესახებ, მოხდა ინფორმაციის გაცვლა საქართველოში სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებით, მონაწილეებს ჰქონდათ კითხვების დასმის საშუალება.

შეხვედრა მიმდინარეობდა Zoom-ის პლატფორმის საშუალებით, რომელსაც ესწრებოდა 50-ზე მერტი წევრი, შეხვედრა მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე და უზრუნველყოფილი იყო სინქრონული თარგმანი.

გარდა ამისა, სოციალური მუშაობის საერთაშორისო თვესთან დაკავშირებით, მთელი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება წევრებისთვის. წევრებს ჰქონდათ ინფორმაცია მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი

ვებინარების, შეხვედრების, დისკუსიების შესახებ, სადაც დასწრება და რეგისტრაცია თავისუფალი იყო ყველა მსურველისთვის. ასევე წევრებს მთელი თვის განმავლობაში ჰქონდათ ინფორმაცია სოციალური მუშაობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, რომელიც ასევე ღია იყო ნებისმიერი მსმენელისთვის.

სოციალურ მუშაკთა ტრენინგი უსაფრთხოების საკითხებზე

2021 წელს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ დაიწყო სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკთა მომზადება სოციალურ მუშაკთა უსაფრთხოების საკითხებზე. სულ გადამზადება გაიარა 250-მდე სოციალურმა მუშაკმა, ასევე მათი 15 პროფესიული ზედამხედველმა და მმართველი გუნდის წარმომადგენელმა მთელი საქართველოს მასშტაბით. ტრენინგი სამდღიანი იყო და პანდემიის გათვალისწინებით ჩატარდა ონლაინ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის საშუალებით. ტრენინგი მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორებიცაა: ორგანიზაციული კულტურა, უსაფრთხოების წესი სამუშაო გარემოში, უსაფრთხოების დაცვა ვიზიტის განხორციელებისას და ბენეფიციარის ავტომობილით გადაყვანისას. ასევე, მოიცავა სოციალურ მუშაკთა მიერ საკუთარი მოწყვლადობის შეფასებას, გარემოს წინასწარ შეფასებას



საფრთხის რისკების გათვალისწინებით. უსაფრთხოება, მხოლოდ ფიზიკურ საფრთხისგან თავის დაცვას არ გულისხმობს, ჩვენი პროფესიის შემთხვევაში განსაკუთრებით საყურადღებოა პროფესიული გადაწვის პრევენცია და მისი შეფასება. ტრენინგი ამ საკითხებსაც მოიცავდა. ტრენინგის შედეგად სააგენტოში უკვე არიან მომზადებული ტრენერები, რომელთაც მომავალში თავად შეეძლებათ ტრენინგის ჩატარება ახალბედა თანამშრომლებისთვის. სააგენტოს გადაეცა მომზადებული მოდულები და შესაბამისი მასალებიც.

პროექტი ხორციელდებოდა World Vision საფრანგეთის ოფისის ეგიდით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და სახელმწიფო უწყებებთან პარტნიორობით, პროექტის „ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა“ ფარგლებში.

მხარდაჭერის სახლი
მომსახურებები დღეგრძელთა ღირსეული ცხოვრებისთვის
საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ახორციელებს პროექტს „მხარდაჭერის სახლი - მომსახურებები დღეგრძელთა ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში“ Hilfswerk International-ის მხარდაჭერით პარტნიორებთან Hilfswerk International-ის სარაევოს ოფისი და „HAJDE დახმარებისა და განვითარების ასოციაცია“ ერთად ბოსნია-ჰერცოგოვინაში, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, „საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი“ ერთად. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ხანდაზმულებისთვის შინმოვლის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ოთხ მუნიციპალიტეტში (ორი საქართველოში და ორი ბოსნია-ჰერცოგოვინაში) და წვლილი შეიტანოს ისეთი ინკლუზიური სოციალური პოლიტიკის ჩარჩოს შექმნაში, რომელიც გაუმჯობესებს ხანდაზმულთა მდგომარეობას საზოგადოებაში და უზრუნველყოფს მათი უფლებების რეალიზებას.

ამ მიზნით საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ შეიმუშავა ჯანსაღი დაბერების მომსახურების კონცეფცია, რომელზე დაფუძნებითაც პროექტი პარტნიორების ჩართულობით გახსნის ახალ მომსახურებებს სამიზნე მუნიციპალიტეტებში. ამას გარდა, ასოციაციამ შეიმუშავა მომსახურებათა მონიტორინგის ჩარჩო. ასოციაციის როლი პროექტის განმავლობაში იქნება მომსახურების სპეციალისტთა გაძლიერება ტრენინგებისა და პროფესიული ზედამხედველობის საშუალებით.

HILFSWERK

HAJDE Udruženje za pomoć i razvoj Association for Help and Development

GASW საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია THE GEORGIAN ASSOCIATION OF SOCIAL WORKERS

IDP WOMEN ASSOCIATION "CONSENT" ეკონომიკურ ინოვაციათა ასოციაცია

CSRDG საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი